საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არშაკი

არშაკი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის ორი მეფის სახელი. **ა.** I, ქართლის მეხუთე მეფე (დაახლ. ძვ. წ. II ს. II ნახ.), სომხეთის არშაკუნიანი მეფის ძე, მოწვეული ქართლის ერისთავთა მიერ (მისი ამგვარი წარმომავლობა საეჭვოა, რადგან არშაკუნიანები სომხეთში ორი საუკუნით უფრო გვიან გამეფდნენ); **ა.** II, ქართლის მეცხრე მეფე (დაახლ. ძვ. წ. I ს. დასასრ.), ნეკრესისა და უფლისციხის მაშენებელი. როგორც ჩანს **ა.** I და **ა.** II უნდა იყვნენ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მეექვსე და მეათე მეფეები არსოკი/არსუკი.

ლიტ.: იხ. სტ-თან არშაკიანები ქართლისა.

ლ.-ნ. ჯანაშია